უწმინდესი პატრიარქი კირილე კავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარეს შეხვდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 05.19.2023. 19 მაისს, ყაზანში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილე კავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარეს შეიხ-ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა-ზადეს შეხვდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ: რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიიდან –მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი, ვოსკრესენსკის მიტროპოლიტი დიონისე; საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი; ყაზანისა და თათარსტანის მიტროპოლიტი კირილე; სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილე არქიმანდრიტი ფილარეტი (ბულეკოვი); სამმართველოს მხრიდან – კავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე სოლმან მუსაევი, შეიხის თანაშემწე გუნდუზ ბაბაევი, – **იტყობინება** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახური.

„ძვირფასო ძმაო, ძალიან მიხარია, რომ დღეს მომეცა თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობა“, – განაცხადა, კერძოდ, უწმიდესმა პატრიარქმა კირილემ. – ჩვენი შეხვედრები ყოველთვის ძმურ ატმოსფეროში იმართება, ძალიან გულწრფელად და უზენაესის წყალობით, თქვენთან ერთად ბევრ რამეს ვაგვარებთ კეთილი დიალოგის გზით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადაგიხადოთ აზერბაიჯანში მართლმადიდებლებთან მიმართებით თქვენი კეთილი დამოკიდებულებისთვის; რჩევებისთვის, რომლებსაც აძლევთ“.

„მე და თქვენ ყოველთვის თანამოაზრენი ვიყავით“, – აღნიშნა რუსეთის ეკლესიის წინამძღვარმა. – ეს არის შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია ორ სულიერ ლიდერს, არა სიტყვით, არამედ საქმით მოწმობდეს იმ ამოცანების საერთო გაგებას, რომლებიც დღეს მორწმუნეების წინაშე დგას. ასევე, საერთაშორისო პლატფორმებზე, როდესაც ერთმანეთს ვხვდებით, ჩვენ ყოველთვის ერთიანი ამოცანები და საერთო პოზიცია გვაქვს. ეს ყველაფერი ჩვენი სულიერი სიახლოვის და, თუ ნებას დამრთავთ, ასე ვთქვა, ჩვენი მეგობრობის ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ამიტომ, ჩვენ დიდად გაფასებთ თქვენ, ჩემო ძვირფასო ძმაო, და გისურვებთ უზენაესის შეწევნას თქვენს შრომებში“.

„დიდი მადლობა თქვენ, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ თქვენი მოკლე ვიზიტის დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მაინც დაგვითმეთ დრო და მიგვიღეთ, – აღნიშნა თავის მხრივ შეიხ-ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა-ზადემ. – მართლაც, ჩვენი დამოკიდებულება თქვენს უწმინდესობასთან შორს გასცდა რელიგიათაშორისი ურთიერთობის ჩარჩოებს. მე ნამდვილად ვხედავ თქვენში უფროს ძმას, ნამდვილ მეგობარს".

„რამდენი წელი იღვრებოდა სისხლი კავკასიაში, გრძელდებოდა შეიარაღებული კონფლიქტები! მაგრამ თქვენი ძალისხმევა ჩვენს საყვარელ კავკასიასთან მიმართებით, რასაც ოცდაათი წლის განმავლობაში აკეთებთ, შეუძლებელია გადაჭარბებით შეაფასო. მე პირადად, მთელი აზერბაიჯანელი ხალხი და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხები უზომოდ მადლობელნი ვართ თქვენი ამ ზრუნვისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ სომეხთა, სომეხი ხალხის გულებში ასევე უსაზღვრო მადლიერებაა თქვენ მიმართ, თქვენო უწმინდესობავ, იმიტომ, რომ თქვენ ყოველთვის ცდილობდით სისხლისღვრის თავიდან აცილებას, ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენას“, – აღნიშნა მუფთიმ.

„გულითადად გმადლობ, ძვირფასო ძმაო, – უპასუხა უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ. – მართლაც, ჩვენს კეთილ ურთიერთობას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მხოლოდ რუსეთის ეკლესიის დიალოგია აზერბაიჯანელ მუსლიმებთან. თქვენ ხართ თანამედროვე ისლამის გამორჩეული წარმომადგენელი, უაღრესად პატივცემული პიროვნება ისლამურ უმაში და განსაკუთრებული წვლილი შეგაქვთ პოსტსაბჭოთა სივრცის რელიგიურ ცხოვრებაში“.

„თქვენ ნამდვილად გაქვთ ნიჭი შეარიგოთ ისინი, ვისი შერიგებაც ძალიან ძნელია. თქვენ გაქვთ გამბედაობა, სიმტკიცე და, იმავდროულად, მზადყოფნა იმისა, რომ ზოგჯერ შეარბილოთ თქვენი პოზიცია, რათა თანამოსაუბრეს შეუქმნათ გულწრფელი და ნაყოფიერი პირობები თქვენთან დიალოგისთვის. ცოტას აქვს ეს თვისება, მაგრამ გაკვირდებით თქვენ და არასდროს მინახავს, რომ კონფლიქტის ელემენტი შეგეტანოთ თქვენი მონაწილეობით განხილული საკითხების განხილვისას“, –

დაამოწმა უწმინდემა პატრიარქმა კირილემ და სთხოვა ა. ფაშა-ზადეს, გადასცეს მისალმება პრეზიდენტს ილჰამ ალიევს და მისი მეუღლეს, აზერბაიჯანის პირველ ვიცე-პრეზიდენტს მეჰრიბან ალიევას.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90362/